აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, სერვისის განვითარების სამსახური

დასუფთავების სამსახურის სუპერვაიზერებისა და მენეჯერების ტრენინგი - I ჯგუფი

03.05.2023 - 06.05.2023

ტრენინგის შესახებ

სუპერვაიზერებისა და მენეჯერების უფასო ტრენინგი - I ჯგუფი

თეორიულ-პრაქტიკული სატრენინგო კურსი განთავსების ობიექტების სუპერვაიზერებისა და მენეჯერებისთვის დაიწყება 3 მაისიდან. ტრენინგი მოცავს როგორც თეორიულ ნაწილს, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს.

ტრენინგი ჩატარდება ორ ჯგუფად, მსმენელთა რაოდენობა 20-25 ადამიანი.

ტრენინგზე მსმენელები შეირჩევიან გასაუბრებით.

განრიგი და ფორმატი

ტრენინგ-კურსი ჩატარდება ქ.ბათუმში სასტუმრო „მონარქში" (მის.ახმედ მელაშვილის ქ.№37)

I ჯგუფის ტრენინგის განრიგი:

I დღე - ოთხშაბათი 3.05.2023 - 09:45-14:30

II დღე - ხუთშაბათი 4.05.2023 - 09:45-14:30

III დღე - პარასკევი 5.05.2023 - 09:45-14:30

IV დღე - შაბათი 6.05.2023 - 09:45-14:30

პროგრამა

განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის მმართველი რგოლის მუშაობის ძირითადი პრინციპები

- მიმღებთან სწორი კომუნიკაცია და სისტემური უზრუნველყოფა;
- ზედამხედველისა და მენეჯერის მოვალეობები;
- თანამშრომლის უსაფრთხოება;
- სტუმართან სწორი კომუნიკაცია (15/5 ნაბიჯის პრინციპი, L.E.A.R.N-ის პროცესი, მომსახურების სპეციფიკა;
- ქიმიკატების უსაფრთხოდ გამოყენების სტანდარტი და უსაფრთხოების 10 წესი;
- აუცილებელი მოწყობილობები და დანადგარები. მტვერსასრუტის გაფუჭების 5 მიზეზი;
- ხანძარი, შემშლელი ფაქტორები და ცეცხლის ლოკალიზება. ზედაპირების შერჩევის მეთოდი;
- დაკავებული ან თავისუფალი დასუფთავებული ოთახის შემოწმების სტანდარტი, ინსპექტირება;
- სამრეცხაო მომსახურება (შიდა ან გარე), თანხების კონტროლი, ღირებულება;
- დაკარგული და ნაპოვნი ნივთების კონტროლი, გაცემა, სასტუმროდან გატანის სტანდარტი, შენახვის სტანდარტი.
- რესტორნის ტერიტორიის მოვლა, დერეფნები, კიბეების მოვლა;
- უნიფორმის დატვირთვა, სახელის მანიშნებელი, პირადი ჰიგიენა, პირადი მოსასვენებელი ადგილის დატვირთვა.